



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 165

2011 წლის 25 ნოემბერი

ქალაქი ხაშური

შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზისათვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბა სურამში, სოფელ იტრია, ჩუმათელეთში და სოფელ ზემო ოსიაურში გაზსადენის ქსელის ხაზოვანი ნაგებობის მოწყობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბა სურამში, სოფელ იტრია, ჩუმათელეთში და სოფელ ზემო ოსიაურში მცხოვრები მოსახლეობის გაზომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის N57 (24.03.2009) დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-3 თავის, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზს“ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბა სურამში, სოფელ იტრია, ჩუმათელეთში და სოფელ ზემო ოსიაურში გაზსადენის ქსელის ხაზოვანი ნაგებობის მოწყობაზე;
2. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N13) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე


დავით ლომიძე

